პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

№ 118 (12326)
სამშაბათი,
22
მაისი,
1962 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების ერთობლივი განცხადება

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 1962 წლის 14-დან 20 მაისამდე ბულგარეთში მეგობრობის ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გაეცნო სოფიისა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობებს და ეწვია ქალაქებს სტარა ზაგორას, ნოვა ზაგორას, ვარნას, ტოლბუხინსა და პლევენს. დელეგაციის წევრებს უველგან აღტაცებით შეხვდნენ, როგორც ძვირფას სტუმრებს მოძმე ქვეყნიდან. ბულგარეთში მოგზაურობის დროს საბჭოთა დელეგაციასთან ერთად იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ანტონ იუგოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები მიტკო გრიგოროვი და სტანკო ტოდოროვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი კარლო ლუკანოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ამხანაგი ლიუბენ გერასიმოვი და სხვები.

ბულგარეთში მოგზაურობის დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გაეცნო სოციალისტურ მშენებლობას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. დელეგაციამ დაათვალიერა სამრეწველო საწარმოები, კოოპერაციული მეურნეობანი, ისტორიული და კულტურული ძეგლები, დიდი საკურორტო მშენებლობა შავი ზღვის სანაპიროზე, შეხვედრები და გულითადი მეგობრული საუბრები ჰქონდა მუშებთან, კოლმეურნე გლეხებთან, ბულგარელი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ბულგარელ მშრომელებთან შეხვედრის დროს, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მტკიცე მეგობრობის დიდ დემონსტრაციად იქცეოდა, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ აღნიშნა, თუ რა უდიდესი მიღწევები აქვს საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, რა ენთუზიაზმით იბრძვიან საბჭოთა კავშირის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გულწრფელ მადლობას უძღვნის ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ ბულგარელ ხალხს გულითადი მიღების, პატივისცემისა და სტუმარმოყვარეობისათვის, რაც გაუწიეს დელეგაციის წევრებს ყველგან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებთან და ხელმძღვანელებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები ამხანაგები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. სნეჩკუსი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ო. პ. კოლჩინა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. პოპოვი, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი ა. ნ. ტუპოლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ა. დენისოვი.

ბულგარეთის მხრივ — დელეგაციის მეთაური, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი, დელეგაციის წევრები ამხანაგები: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რაიკო დამიანოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე სტანკო ტოდოროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიტკო გრიგოროვი, ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გეორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი კარლო ლუკანოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვლადიმერ ვიდენოვი, ახალგაზრდათა დიმიტროვული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ივანე აბაჯიევი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი როზა კირიტაროვა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაოსახალხო კომიტეტის თავმჯდომარე ცოლა დრაგოიჩევა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის ელჩი სსრ კავშირში ლიუბენ გერასიმოვი.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც განსაკუთრებით გულთბილ და გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ორივე დელეგაციამ განიხილა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალური საკითხები და საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ორივე მხარის სრული ერთსულოვნება და შეხედულებათა ერთობა ყველა განხილულ საკითხზე.

I.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ მოკლე ისტორიულ ვადებში უდიდესი მიღწევები მოიპოვა ცხოვრების ყველა დარგში. ამ მიღწევებმა ძირეულად უცვალა სახე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას. ბულგარელმა ხალხმა შეძლო თავისი სამშობლო, რომელიც წინათ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო, გადაქცია ქვეყნად, რომელსაც აქვს განუწყვეტელივ მზარდი მრეწველობა, მექანიზებული კოოპერაციული მიწათმოქმედება. სახალხო ხელისუფლების ხელმძღვანელობით დიდი წარმატებებია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალური მშენებლობის დარგში; განუწყვეტლივ უმჯობესდება ბულგარეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა.

ეს შესანიშნავი წარმატებები შედეგია ბულგარეთის კომუნისტუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მადლობას უხდის ბულგარელ მშრომელებს

სოფია, 20 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ათასობით წერილისა და დეპეშის პასუხად, რომლებიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ მიიღო ბულგარეთში თავისი ყოფნის დროს, დელეგაციის წევრებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით გაზეთების „რაბოტნიჩესკო დელოს“, „ოტეჩესტვენ ფრონტის“ და „ზემედელსკო ზნამეს“ რედაქციებს გაუგზავნეს შემდეგი წერილი:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს ჩვენ მივიღეთ ბულგარეთის საწარმოთა და დაწესებულებათა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა, სასწავლებელთა კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების ათასობით წერილი და დეპეშა.

ამ წერილებსა და დეპეშებში ბულგარეთის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს და გამოთქვამენ სურვილს, რომ ჩვენი დელეგაცია ეწვიოს მათს ქალაქებსა და სოფლებს, საწარმოებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, სასწავლებლებსა და ოჯახებს. ეს სურვილი რომ შეესრულებინა, ჩვენს დელეგაციას ალბათ მრავალი თვე დასჭირდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამის შესაძლებლობა არა გვაქვს.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გულითად მადლობას უხდის ყველა მეგობარს, რომლებმაც წერილები და დეპეშები გამოგვიგზავნეს, და უსურვებს მათ, ისევე როგორც მთელ მოძმე ბულგარელ ხალხს, ახალ დიდ წარმატებებს შრომასა და ცხოვრებაში, სოციალიზმის მშენებლობაში.

ნ. ხრუშჩოვი	ს. პავლოვი
გ. პონომარიოვი	ო. კოლჩინა
ა. გრომიკო	გ. პოპოვი
პ. შელესტი	ა. ტუპოლევი
ა. სნეჩკუსი	გ. დენისოვი

1962 წ. 19 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 1962 წლის 20 მაისი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. სურათზე: შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ა. ლიაპინისა და ვ. დრუჟინინისა.

გულთბილი შეხვედრა

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით 20 მაისს სოფიიდან მოსკოვში დაბრუნდა.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სნეჩკუსი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი, სკკპ მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. პოპოვი, სკკპ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ო. პ. კოლჩინა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ნ. ტუპოლევი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ა. დენისოვი.

ბულგარეთში საბჭოთა დელეგაციის ყოფნა დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა. ეს იყო ორი მოძმე ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის ზეიმი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, სადაც „ტუ-104“ დაჯდა, შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუტუსინენი, ა. ი. მიქოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. იგნატოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი და დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეიეე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის ეროვნული საბჭოს ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები. საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შემხვედრნი გულთბილად მიესალმნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს.

* * *

იმავე თვითმფრინავით მოსკოვში დაბრუნდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ლიუბენ ნ. გერასიმოვი.

(საკდესი)

მოსკოვში ჩამოვიდა მოდიბო კეიტა

მოსკოვი, 21 მაისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის თავმჯდომარე მოდიბო კეიტა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სტუმარი იქნება. მოდიბო კეიტასთან ერთად ჩამოვიდნენ მინისტრები, დეპუტატები, პროფკავშირული, საზოგადოებრივი, ქალთა, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, ომის ვეტერანთა წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები.

დედაქალაქის ვნუკოვოს აეროდრომზე მოდიბო კეიტასა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიტრუნეკი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირის მარშლები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი.

აეროდრომზე იყვნენ მალის ელჩი სსრ კავშირში მამაღუ უადიალა კეიტა, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სამხედრო პირები, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ატაშეები, ჟურნალისტები.

მალის რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურისა და მთავრობის თავმჯდომარის ჩამოსვლის გამო აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა მალის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები, მიეცემულ იქნა ერთა სალუტი.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და მოდიბო კეიტამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

შემდეგ მოდიბო კეიტა, ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი ღია მანქანით გაემართნენ მოდიბო კეიტას რეზიდენციაში, კრემლში. მთელ გზაზე ათეულათასობით მოსკოველი გულითადად მიესალმებოდა საპატიო სტუმარს.

მოსკოვის მოედნები და ქუჩები, რომლებზეც მიდიოდა კორტეჟი, მორთული იყო ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილი იყო მისასალმებელი ლოზუნგები.

გულითადი მილოცვები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გამგეობას საზოგადოების დაარსების მეხუთე წლისთავის ზეიმის აღსანიშნავად.

მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარება იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, ნათქვამია დეპეშაში, საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საქმეა ჩვენი ქვეყნებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. მაღალი შეფასების ღირსია დიდი მუშაობა, რომელსაც ახორციელებს საზოგადოება, როცა აცნობს იაპონელ ხალხს საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს და ამით ხელს უწყობს ურთიერთგაგებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანებს არა აქვთ არავითარი სხვა ზრახვა იაპონიის მიმართ, გარდა იმისა, რომ იცხოვრონ მშვიდობითა და მეგობრობით თავიანთ ახლო მეზობელთან — იაპონელ ხალხთან. (საკდესი).

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შექმნის 15 წლისთავთან და მისი საიუბილეო, მესამე ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად მიესალმა და მიულოცა ყრილობის დელეგატებს, საზოგადოების ყველა წევრსა და მოძმე მონღოლ ხალხს.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ნაყოფიერი საქმიანობა, ნათქვამია მისასალმებელ დეპეშაში, ხელს უწყობს ჩვენი ხალხების ტრადიციული ურღვევი მეგობრობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ყოველმხრივ გაცნობას საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასთან, მათს თავდადებულ ბრძოლასთან, რომელსაც აწარმოებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამის განსახორციელებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ჩვენს დროს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ხალხმა, რომელმაც ბოლო მოუღო იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის ჩაგვრას და დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. (საკდესი).



საგაზაფხულო თესვა დამკვრელური ფრონტია!

ყოველი საათი—თესვის სამსახურში!

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განსაკუთრებით ჩამორჩნენ სიმინდის თესვაში. უკანასკნელი ცნობებით სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.600 ჰექტარისა დათესილია 9.166 ჰექტარზე.

სოხუმის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში (სამმართველოს უფროსი ს. ალანია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ვ. კოკაია) სიმინდი ნაცვლად 14.600 ჰექტარისა დათესილია 7.776 ჰექტარი, ხოლო გუდაუთის საწარმოო სამმართველოს (სამმართველოს უფროსი მ. არჯენია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ხ. ავიძბა) მეურნეობებში — 5.000 ჰექტარის ნაცვლად 1.390 ჰექტარი.

სოხუმის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა გასულ ხუთდღიურში (15 მაისიდან 20 მაისამდე) 1.631 ჰექტარი სიმინდი დათესეს, ხოლო გუდაუთის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა — 515 ჰექტარი.

გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა მ. არჯენიამ რედაქციას აცნობა:

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის თესვის აგროვადები ამოიწურა, ჩვენ ამ მეტად სასარგებლო კულტურის თესვა გაგვიჭიანურდა.

ჩამორჩენა უამინდობას რომ გადაებარალოთ, სწორი არ იქნება. თესვაში შეფერხება გვქონდა იმიტომაც, რომ „საქსოფლტექნიკის“ აფხაზეთის განყოფილება დროულად ვერ გვამარაგებდა საწვავით, რამაც გამოიწვია ტექნიკის მოცდენა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ამბროლაურის საწარმოო სამმართველოში მ. ჯინჭველაშვილმა თქვა:

სიმინდის თესვაში ჩამორჩენა უკანასკნელ დღეებში ერთგვარად დავძლიეთ. თესვის გეგმა 84,4 პროცენტით შეგასრულეთ, ხუთდღიურში მარტო სიმინდი 439 ჰექტარი დავთესეთ.

საგაზაფხულო კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის თესვაში ჩამორჩენილნი ონისა და ცაგერის რაიონების კოლმეურნეობები.

> დადგა ყველაზე გადამწყვეტი დღეები, ახლა ყოველი წუთი ძვირფასია! □ ვადები და ხარისხი!—აი რა არის მთავარი თესვის ამ დამამთავრებელ ეტაპზე □ ეს კი

> უმთავრესად დამოკიდებულია არა ამინდზე, არამედ ადამიანებზე, მათ მოწდომეობასა და ინიციატივაზე □ დაილოცოს მისი მარჯვენა, ვინც დროზე და კარგად თესავს.

ზრომის ცეცხლი

ზემოქმედებითი ზრომის ცეცხლი გიზგიზებს ობაშის რაიონის სოფელ ეწერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებსა და ბაღებში.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობას სიმინდი უნდა დაეთესა 870 ჰექტარზე, ახლა ამ ფართობზე თესვა მთლიანად დამთავრებულია.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე შამშე გაზოკიძე, — 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 60 ცენტნერს, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 30 ცენტნერ სიმინდს.

რ. ჭანტურია.

დაიწყო ნათესების დამუშავება

წყალტუბო. (სპეც. კორ.). ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შესასრულეს სიმინდის თესვის გეგმა — 13.600 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 14.647 ჰექტარი. სიმინდის თესვაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონები. ტყიბულის რაიონმა გეგმის ზევით დათესა 700 ჰექტარი, მაიაკოვსკის რაიონმა — 200 ჰექტარი.

დაიწყო ნათესების დამუშავება.

თესავენ გეგმის გევით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). კარგი თანასწორობა გამოიჩინეს სოფელ ტაბაკინის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. მათ ჯერ კიდევ 18 აპრილისათვის დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილებულან, მათ იკისრეს გეგმის ზევით დათესონ 25 ჰექტარი სიმინდი და 15 ჰექტარი სოია. რითაც დამატებით მიიღებენ 1.200 ცენტნერ მარცვლეულს და 3.000 ცენტნერამდე უხეშ საკვებს.

ტაბაკინელებმა მოუწოდეს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მხარი დაუჭირონ მათს თაოსნობას.

კოლმეურნეობები მხურვალედ გამოეხმაურნენ ტაბაკინელებს. სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა გეგმის ზევით თესავს 20 ჰექტარ სიმინდსა და სოიას, სოფელ ფუთის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა — 15 ჰექტარს. გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის იბრძვიან თერჯოლის, ორჯონიკიძის, საჩხერის რაიონების კოლმეურნეობები.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეებმა ჯერ კიდევ 5 მაისისათვის დაამთავრეს სიმინდის თესვა, „მინდვრის დედოფალი“ 4.409 ჰექტარზე დათესეს.

გეგმის ზევით ათობით ჰექტარი დათესეს არგვეთის, ოტავაწის, გორისის სხვიტორის კოლმეურნეობებმა. საჩხერეში მალე დაიწყება ადრე ნათესი სიმინდის მარგვლა-დამუშავება.

173,6 პროცენტით...

თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. თეთრუაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ა. ბექაური გვაცნობებენ, რომ სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შესასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

საგაზაფხულო კულტურები ნაცვლად 17.755 ჰექტარისა დათესილია 17.954 ჰექტარზე. სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 173,6 პროცენტით.

თესვა გეგმის ზევით გრძელდება.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების

ერთობლივი განცხადება

(დასასრული)

რი პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სწორი პოლიტიკისა, რომელებიც თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ სინამდვილეში დიად მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას; შედეგია ბულგარელი ხალხის მტკიცე ერთობის, შეკავშირებისა და ენთუზიაზმისა, საბჭოთა კავშირთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობისა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია თავის მხრივ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა, პოლიტიკურმა, ეკონომიურმა, კულტურულმა და მეცნიერულმა გამარჯვებებმა უადრესად დამაჯერებლად ცხადყო სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით, ბრწყინვალე პერსპექტივები დაუსახა კაცობრობას. საბჭოთა კავშირის დიდებული მიღწევები მშვენიერი მატერიალური გამოხატულებაა ჩვენი დროის უადრესად კეთილშობილური იდეებისა — კომუნისტური იდეებისა, რომლებსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით.

ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის, თვითეული პროგრესული ადამიანისათვის. სკკპ ახალ პროგრამას სიბარულთა და აღფრთოვანებით შეხვდა მთელი ბულგარელი ხალხი, რომელსაც იგი თავის პროგრამადაც მიაჩნია.

ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარელი ხალხისათვის მის ბრძოლაში სოციალიზმის ასაშენებლად და კომუნიზმზე თანდათანობით გადასასვლელად. ბულგარელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირთან შეგობრობა, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება, სოციალისტური ქვეყნების დიადი ოჯახის ერთიანობა და შეკავშირება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბედნიერებისა და აყვავების, კომუნიზმის გამარჯვების აუცილებელი წანამძღვრებია.

მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წელს დადებული ხელშეკრულების შესრულებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარება და გაღრმავება. განვლილ პერიოდში დადებული ყველა შეთანხმება სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შესახებ სახარგებლო იყო ორივე მხარისათვის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ბულგარელი ხალხის დიდი მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარებისათვის და განსაკუთრებით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დარგში და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში დახმარებისათვის.

ორივე დელეგაციამ დაადასტურა, რომ თანამშრომლობა დღემდე ნაყოფიერი და ურთიერთსასარგებლო იყო და გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურღვევი მეგობრობა, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, კვლავაც განვითარდება და გაღრმავდება. ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტური ბანაკის შემდგომი განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და კომუნისტური იდეების სრული გამარჯვების საქმეში.

ორივე ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებასა და გაფართოებას. ბულგარეთის მხარემ გააცნო საბჭოთა დელეგაციას მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები და 20-წლიანი პერსპექტიული გეგმის მომზადება.

II.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. აღინიშნა ორივე ქვეყნის შეხედულებების, საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების სრული ერთიანობა.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ემყარება მათი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანამშრომლობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემის პრინციპები. ამ პრინციპებს საფუძვლად უდევს სოციალისტური წყობილების თვით არსი, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება და ისინი სავსებით შეესაბამებიან მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებებსა და იდეალებს.

ორივე ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, თუ ყველა სახელმწიფო განახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, თუ გაითვალისწინებენ იმას, რომ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების სასარგებლოდ.

მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ახორციელებენ, სავსებით შეესაბამება ორივე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს; იგი შეესაბამება იმ ხაზს, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირებზე შეიმუშავეს. ამ ხაზის სისწორეს ადასტურებს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება, რასაც მოწმობს კეთილნაყოფიერი შედეგები, რომლებიც მოპოვებულია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ორივე მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სწორი საგარეოპოლიტიკური ხაზის მეოხებით დღემდე იფუშებოდა იმპერიალისტების ის გეგმები, რომ გაეჩაღებინათ ახალი მსოფლიო ხანძარი. სოციალისტური ქვეყნების პოზიცია ყველაზე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებში გადაულახავი დაბრკოლებაა მილიტარისტებისათვის და საშუალებას არ აძლევს მათ აშკარად დაიწყონ თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელება. იმპერიალისტური სახელმწიფოები უკვე ვედარ უკარნახებენ ხალხებს თავიანთ პირობებს, ვერ მოახვევენ თავს თავიანთ ნებას საერთაშორისო ურთიერთობაში, დაუსჯელად ვერ ჩაიფრინონ დანაშაულობებს შეშფოთებისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების წინააღმდეგ. ობიექტური ისტორიული ვითარება განსაკუთრებით ამ მომენტში აიძულებს მათ დაფარონ თავიანთი გეგმები და მიზნები, ეძებონ გზები, რომ მოადუნონ ხალხთა სიფხიზლე და მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა.

პარტიათა და მთავრობათა ორივე დელეგაცია აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პასუხად დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ ცივ ომს, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, აფართოებენ ნატოს, სეატოსა და სენტოს აგრესიული სამხედრო ბლოკების პროვოკაციულ და მშვიდობისათვის საშიშ საქმიანობას. ხალხების მიერ დაგმობილი ამ პოლიტიკური ხაზის სულისკვეთებით იყო გამხვევალული ნატოს უკანასკნელი სესიაც, რომელიც მაისის დამდეგს გაიმართა ათენში და რომლის გადაწყვეტილებანი საშიში ნაბიჯია გამალებული შეიარაღების გაძლიერების, საერთაშორისო ვითარების შემდგომი გართულების გზაზე. ორივე მხარე შეშფოთებით აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას ნატოს განკარგულებაში გადასცეს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი ხუთი წყალქვეშა ნავი, რაც კვლავ მოწმობს ამ სამხედრო პაქტის აგრესიულ ხასიათს და კიდევ უფრო აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას. საიდუმლო არ არის, რომ ათენში ბევრ რამეში ტონს იძლევდნენ დასავლეთ-გერმანელი მილიტარისტები, რომლებიც დიდი ხანია ცდილობენ ხელი იგდონ ატომური იარაღი. და დასავლეთში არიან გავლენიანი წრეები, რომლებიც თანაგრძნობით ეკიდებიან ბონელ რევანშისტთა ამ გეგმებს.

თავისთავად იგულისხმება, რომ სოციალისტური ქვეყნები და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი გულხელდაკრეფილი ვერ ისხდებიან, თუ დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისათვის ღია იქნება ატომური არსენალების კარი. საბჭოთა კავშირი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები უეჭველია გამოიტანდნენ სათანადო დასკვნებს თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები გადაჭრით ილაშქრებენ სამხედრო ბლოკებად მსოფლიოს დაყოფის წინააღმდეგ, ცივი ომის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შექმნის წინააღმდეგ. მაშინ როცა არსებობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის საშინი დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული ძალების მოქმედება და ღონისძიებანი, ორივე მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ გაძლიერდეს და განმტკიცდეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების თავდაცვითი ძლიერება. ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს იმპერიალისტთა მუქარის პასუხად. ამავე დროს ისინი აცხადებენ, რომ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ღონისძიებანი, რომელიც გადაწყვეტილ იქნას ყველა სამხედრო პაქტი და სამხედრო ბაზები სხვათა ტერიტორიებზე, და ამრიგად თავიდან იქნას აცილებული ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონისა და მძლავრი გამანადგურებელი ძალის იარაღის არსებობის დროს ომი არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრის საშუალება. ასეთ ვითარებაში დღეს უფრო დაბეჯითებით, ვიდრე ოდესმე, ისმება საკითხი, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რასაც დიდი ხანია ესწრაფვის მთელი კაცობრიობა. ასეთი შეთანხმების მიღწევა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სწრაფად და ხაბოლოოდ აღმოიფხვრას დაბრკოლებანი და სიძნელენი მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების დამყარების გზაზე.

ორივე მხარე კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა, რომელიც დაწვრილებით და არგუმენტირებულად დასაბუთებულია საბჭოთა კავშირის წინადადებაში 18 სახელმწიფოს კომიტეტის ეენევის თათბირზე, დიდ გამოხმაურებას პოულობს მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებში და მას მხარს უჭერენ სულ უფრო მეტი სახელმწიფო და სახელმწიფოთა ხელმძღვანელები. ალტერნატივა უარყოფს საბჭოთა წინადადებანი და ამრიგად ამხილონ თავიანთი თავი როგორც საყოველთაო და სრული განიარაღების ნორმატიები ათანაყოლის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებს მიმართონ მანევრებს, დამალონ თავიანთი ნამდვილი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. სიტყვით ისინი ეთანხმებიან საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას, მაგრამ საქმით საბოტაჟს უწევენ ყოველ კონკრეტულ ნაბიჯს, ყოველ კონსტრუქციულ წინადადებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მისი განხორციელება. ამასთან დაკავშირებით ორივე დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განიარაღების კონფერენციაზე ეენევაში ცდილობენ საბჭოთა წინადადებანი მკაცრ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეცვალონ წინადადებებით შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ, რაც სხვა არაფერია, თუ არა დაკანონებული ჯაშუშობა. დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებების მიზანია გაგრძელდეს ხაშში გამალებული შეიარაღება, თუმცა უამისოდ მსოფლიოში დაგროვილია უმაგალითო დამანგრეველი ძალის დიდძალი იარაღი. საბჭოთა კავშირი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნები, მოითხოვენ დამყარდეს უაღრესად მკაცრი საერთაშორისო კონტროლი განიარაღებისადმი განიარაღების ყოველი ეტაპის შესაბამისად.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია ეწინააღმდეგება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას. უცილობლად დამტკიცებულია, რომ სახელმწიფოთა განკარგულებაში არსებული აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი შესაძლებლობას აძლევენ მათ ჯეროვნად დავაკვირდნენ თვალყური გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას. ამრიგად ყველა შესაძლებლობაა დაუყოვნებლივ მივაღწიოთ შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ იმ, რომ ამ საკითხის გადაჭრა არ გაართულოს ჯაშუშობის სისტემის შექმნის მოთხოვნამ საერთაშორისო კონტროლის განხორციელების საბაბით.

ორივე მხარე აღნიშნავს იმ წინადადებათა დადებით მნიშვნელობას, რომელებიც შეეხება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს და რომლებიც ნეიტრალურმა ქვეყნებმა შეიტანეს 18 სახელმწიფოს კომიტეტში. საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებებს და მიაჩნიათ, რომ ეს წინადადებანი შეიძლება გახდეს სახარგებლო საფუძველი შეთანხმების მიღწევისათვის. დასანანია, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ფაქტიურად უგულებელყოფენ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინადადებებს.

ორივე მხარე აცხადებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედება როგორც 18 ქვეყნის კონფერენციაზე, ისე მის გარეშეც, ნაკლებად მოწმობს მათს სურვილს მიღწეულ იქნას შეთანხმება ამ საკიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება ატმოსფეროში, მაშინ როცა ეენევაში კონფერენცია მიმდინარეობს, ორივე მხარეს მიაჩნია ცდად შანტაჟად გაუწიონ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, მიაჩნია ხალხთა ნების სრული უპატივცემლობის დემონსტრაციად.

ორივე ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური და თერმობირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, ომის პროპაგანდის აკრძალვისათვის. მსოფლიოს ხალხებს აქტიური და გადამწყვეტი მოქმედებით შეუძლიათ აიძულონ და კიდევაც უნდა აიძულონ დასავლეთის სახელმწიფოები აღკვეთონ მათ მიერ შექმნილი დაბრკოლებანი საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე. საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესების საქმეში არსებითი წვლილი იქნებოდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ გავრცელდეს ატომური იარაღი იმ სახელმწიფოებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ასეთი იარაღი, რომ დაიდოს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის, დაწესდეს ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ გერმანიის საკითხისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის. მათ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია ამ საკითხებში მიაჩნიათ მისწრაფებად მხარი დაუჭირონ ევროპის ცენტრში დარჩენილ ომის კერას, რომელსაც იყენებენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ პროვოკაციების საშუალებად, საერთაშორისო დაძაბულობის გასაძლიერებლად. დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა გერმანიის საკითხში ნიშნავს დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული ძალებისათვის აშკარა დახმარების გაწევასა და ჩაქეზებას.

თავიანთ პოლიტიკაში გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ითვალისწინებენ მდგომარეობას, რომელიც შეექმნა მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შედეგად, როცა ყოფილი მესამე რაიხის ტერიტორიაზე წარმოიშვა ორი გერმანული სახელმწიფო. გერმანელი ხალხის ისტორიაში პირველად ახლა არსებობს და წარმატებით ვითარდება მშვიდობიანი და კეთილმეზობლური დემოკრატიული გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სოციალისტური ქვეყნების ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია მიაღწიონ ომისშემდგომ მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების რაც შეიძლება მალე გადაჭრას, როგორიც არის დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაცია გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საფუძველზე იმ გზით, რომ ლიკვიდირებულ იქნას იქ საოკუპაციო რეჟიმი და გადაიქცეს დასავლეთი ბერლინი თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის პატივისცემა, ამასთან დასავლეთ ბერლინში თავისუფალი შესვლის საკითხის გადაჭრა; გერმანიის სახელმწიფოთა არსებული საზღვრების, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის შესაბამისი გაფორმება და განმტკიცება; ის, რომ ატომური იარაღით არ აღიჭურვოს არც ერთი გერმანული სახელმწიფო; დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა მზად არიან გაკეთონ ყველაფერი, რაც კი მათზეა დამოკიდებული, რათა უზრუნველყონ თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სიცოცხლისუნარიანობა და მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. მათ სჯეროდ მიაჩნიათ მიენიჭოს თავისუფალ ქალაქს ყველაზე საიმედო საერთაშორისო გარანტიები და ეთანხმებიან იმას, რომ ამ მიზნით დასავლეთ ბერლინში გარკვეული დროის განმავლობაში იყოს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მცირე კონტინგენტები.

საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას კარგად ესმით და მხარს უჭერენ ბრძოლას, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აწარმოებს თავისი სუვერენიტეტისა და თავისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის. ისინი დასავლეთ ბერლინში ძირმომპალი საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნების გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ და არიან. დაძაბულობის ამ კერის ლიკვიდაციის საჭიროება დიდი ხანია მომწიფდა, და ისინი, ვინც ვარაუდობს სხვადასხვა საბაბით გაგრძელოს ახლანდელი არანორმალური მდგომარეობა, მოკლებული არიან თანამედროვე მსოფლიო ვითარების რეალურ გაგებას, ცხოვრობენ მშვიდობის საქმისათვის საშიში ილუზიებით.

საბჭოთა მხარემ გააცხო ბულგარეთის დელეგაციას უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შორის გამართული კონტაქტები გერმანიის საკითხზე, ორივე დელეგაცია ხაზს უსვამს ამ კონტაქტების სარგებლობას და ამავე დროს აღნიშნავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოგიერთი წრისა და პირადად კანცლერ ადენაუერის, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს იმ ცდებს, რომ გაართულონ მიღება შეთანხმებისა ევროპის ცენტრში მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარე აცხადებს, რომ არ შეიძლება დაუშვან, რომ ეს კონტაქტები გამოიყენებულ იქნას ხალხთა მოტყუების, გერმანიის საკითხის მოწესრიგების განუწყვეტელი და ხაში და გადადების საშუალებად, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები კვლავ იდგებიან უგუნურ და არარეალისტურ პოზიციებზე, მაშინ საბჭოთა კავშირს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებს არ ექნებიან სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმების მიუღწევლად.

ორივე დელეგაციამ აღნიშნა, რომ დღეს, ისევე როგორც წარსულში, ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთათვის ყველაზე დიდი საფრთხეა იმპერიალიზმი, რომელიც სხვადასხვა მეთოდითა და საშუალებით ცდილობს შეიჭრას ამ სახელმწიფოებში, დაიპყროს ისინი ეკონომიურად და შებორკოს არათანასწორუფლებიანი და დამმცირებელი კავშირებითა და ხელშეკრულებებით. თავიანთი მიზნების განსახორციელებლად იმპერიალისტური სახელმწიფოები აექტიურებენ თავიანთ საქმიანობას პროგრესული ძალების წინააღმდეგ, კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა გმობენ სხვათა ტერიტორიების, ისეთების, როგორიც არის ტაივანი და სხვები, ფაქტიურ ოკუპაციას, გმობენ იმპერიალისტურ ჩარევას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში და პროტესტს აცხადებენ მუხანათური გამანადგურებელი ომის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, მიაჩნიათ ამერიკის ჯარების შეყვანა ტაილანდში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გავრცელებად. საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა გადაჭრით მოითხოვენ სამარცხვინო კოლონიური სისტემის ნაშთების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას და თავიანთ უთუო სოლიდარობას უცხადებენ და მხარს უჭერენ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. ხალხებს, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის, თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის მძიმე შედეგების დაძლევისათვის, ყოველთვის შეუძლიათ იქონიონ სოციალისტური ქვეყნების მეგობრული მხარდაჭერის იმედი.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავ ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სახელოვან კუბელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და რეგოლუციური მონაპოვრების განსამტკიცებლად. კუბელი ხალხის მაგალითმა და კეთილშობილურმა მიზნებმა, რომლებისთვისაც იგი იბრძვის, ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და მხოლოდ ხალხთა პროგრესის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები ცდილობენ ხელი შეუშალონ რეგოლუციურ კუბას იაროს მისი ხალხის მიერ არჩეული ახალი გზით.

საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიერი ადგილის წართმევა ჩინელი ხალხის მიმართ იმპერიალისტთა თვითნებობის აქტია, ხელს არ უწყობს საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესებას და ზიანს აყენებს უწინარეს ყოვლისა თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ორივე მხარე აცხადებს, რომ განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მოლაპარაკების მსვლელობაში გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ბალკანეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქოლგა ქვეშ ბალკანეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის შესახებ და ბალკანეთის ყველა ქვეყანასა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ, ადასტურებს ბულგარეთის საბჭოთა კავშირის წინადადებას იმის შესახებ, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული და ადრიატიკის რაიონი გადაიქცეს ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად. ბულგარეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ეს წინადადება შეესაბამება ბალკანეთის ხალხთა სურვილებსა და იმედებს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ განაცხადა, რომ დიდად აფასებს ბულგარეთის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამის დადასტურებაა ბულგარეთის მთავრობის კონსტრუქციული წინადადებანი თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებისადმი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ, თავდაუსხმელობის თაობაზე პაქტის დადების შესახებ, შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, ყველა გადაუჭრელი საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

ამავე დროს ორივე მთავრობა აღნიშნავს, რომ ნატოს წევრ ბალკანეთის სახელმწიფოთა მთავრობები არ თვლიან საჭიროდ ინტერესებს და იმას, რომ საჭიროა მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება დედამიწის ამ ნაწილში და გადასცემენ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც აქცევენ მათ რაკეტულ-ატომური იარაღის საწყობებად და აგრესიის პლაცდარმად, აწყობენ სოციალისტური ქვეყნების საზღვრების მახლობლად პროვოკაციულ სამხედრო მანევრებს. საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას არაერთხელ გამოუთქვამთ და კვლავ გამოთქვამენ გაფრთხილებას იმ პოლიტიკის საშიშ შედეგებზე, რომელსაც ზოგიერთი წრეები ბალკანეთში ახორციელებენ ბალკანეთის ხალხთათვის უცსო ინტერესების საამებლად.

ორივე დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბალკანეთის ხალხთა ინტერესები მოითხოვენ არა გამალებულ შეიარაღებასა და სხვათა სამხედრო ბაზებს, არამედ იმას, რომ ბალკანეთი გადაიქცეს ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, დამყარდეს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა, ფართოდ განვითარდეს ეკონომიური, კულტურული, მეცნიერული, სპორტული და სხვაგვარი ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ ახლანდელ მომენტში არსებული დაძაბულობა საერთაშორისო ვითარებაში მძიმე ტვირთად აწევს ხალხთა ფართო მასებს ყველა ქვეყანაში, დაბრკოლებაა კაცობრიობის პროგრესის გზაზე. ადამიანთა ყველაზე სანუკვარი იმედებისა და იდეალებისათვის ორივე დელეგაცია აცხადებს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის საქმეს.

III.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში გაუწიარეს ერთმანეთს მოსაზრებანი თავიანთი პარტიების საქმიანობის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას შორის ძმური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან და განმტკიცებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას თავიანთ წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ იბრძოლონ დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, იბრძოლონ ყოველგვარი რევიზიონისტული, დოგმატური და სექტანტური შეხედულებების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც სიტყვით აღიარებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, საქმით კი უჩინშად ამახინჯებს მათ და ამით ზიანს აყენებს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო სა

უზრუნველყოთ თიბვისა და საკვების დასილოსების დროული განხორციელება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. პ. **მჟავანაძის** თავმჯდომარეობით გაიმართა კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში თიბვისა და საკვების დასილოსების დროული და ორგანიზებული განხორციელების უზრუნველყოფის საკითხი.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უხეში საკვების, განსაკუთრებით თივის, აღებისა და შენახვის უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად წლითიწლობით ვერ ასრულებენ მათი დაგროვების გეგმას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგრეთვე სრულად არ იყენებენ სახელმწიფო ტყისა და მიწის ფონდების სათიბად ვარგის ფართობებს, თავთავიანი მარცვლების აღების დროს კი ნამკის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება და ნაცდება. წინასწარი გამოანგარიშებით, უხეში საკვების მოთხოვნილებასა და უზრუნველყოფას შორის არსებული განსხვავება 1962-1963 წლის ზამთრისათვის შედგენს დაახლოებით 414 ათას ტონას, აქედან კოლმეურნეობებში — 335 ათას ტონას, საბჭოთა მეურნეობებში კი — 79 ათას ტონას.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში არის ხელსაყრელი პირობები, რათა წარმატებით განხორციელდეს თიბვა, სილოსის ჩადება და დიდძალი საკვების დამზადება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტს მიაჩნია, რომ თიბვისა და საკვების დასილოსების სამუშაოთა სწორი ორგანიზაციითა და საკვები რესურსების მაქსიმალური გამოყენებით რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობა შეიძლება სავსებით იყოს უზრუნველყოფილი საკვებით 1962-1963 წლის ზამთრისათვის.

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობა 1962-1963 წლებში სავსებით უზრუნველყოფილი იყოს უხეში და წვნიანი საკვებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კომიტეტმა დაავალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სოლქო კომიტეტების პარტორგებს, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკ საოლქო კომიტეტების კომორგებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს— შეამოწმონ ბუნებრივი სათიბებისა და სათიბად ვარგისი საძოვრების ბალახთდგომის მდგომარეობა, აგრეთვე საკვები ბალახების ნათესები და უზრუნველყონ მათი საჭირო მოვლა-პატრონობა და მტკიცედ დაიცვან პირუტყვის მიერ გადაძოვნისაგან.

კომიტეტმა დაავალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა უფროსებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველს განსაზღვრონ საკვების მოთხოვნილება ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, გამონახონ შესაძლებლობანი, რათა დაფარონ არსებული განსხვავება საკვებში, და მათი გადიდების მიზნით გააფართოონ ნაწვერალზე ნათესები, როგორც სილოსის ჩასაღებად, ისევე პირუტყვის დამატებითი მწვანე გამოკვებისათვის და მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი საკვები რესურსები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების სამმართველოს და დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს მითითება მიეცათ გაგზავნონ ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე საჭირო სამუშაო ძალა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურთან ერთად უზრუნველყონ სრული მოთხოვნილების ოდენობით თივის სადაზღვევო მარაგის დამზადება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე დამზადოს სულ ცოტა 15 ათასი ტონა თივა და 10 ათასი ტონა ნამჯა, ამ საძოვრებზე დასამზადებელი საკვების სადაზღვევო მარაგის გადამეტებით.

კომიტეტს ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკად მიაჩნია, როცა ცალკეული კოლმეურნეობის თავმჯდომარენი და საბჭოთა მეურნეობის დირექტორები არ იყენებენ საკვების წარმოების მთელ შინაგან რესურსებს, უშვებენ მათ განიავებას და უყაირათო ხარჯვასა და გამოყენებას, და საკვებით პირუტყვის არაუზრუნველყოფის შედეგად ყიდულობენ საკვებს კოლმეურნეებისაგან. მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა პირებისაგან სპეკულანტურ ფასად, რითაც დიდ მატერიალურ ზარალს აყენებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აძვირებენ მეცხოველეობის პროდუქტთა ღირებულებას.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს კატეგორიულად აეკრძალათ უხეში საკვების დასამზადებლად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა უფროსები, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პარტორგები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები გაფრთხილებული არიან, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა თიბვის სამუშაოთა ხარისხიანი განხორციელებისა და სრულფასიანი საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტი სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ საკვების დამზადების მთელი სამუშაოები განხორციელდება ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში.

(საქდესი).

მალის რესპუბლიკა

საბჭოთა კავშირში მოდიბო კეიტას ვიზიტის გამო

მალის რესპუბლიკა მდებარეობს დასავლეთ აფრიკის შუა გულში. მისი ტერიტორია შეადგენს 1,2 მილიონ კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა — 4,3 მილიონ კაცს. დედაქალაქია ბამაკო (120 ათასი მცხოვრებით).

დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისათვის 1960 წლის 22 სექტემბერს მალი — ყოფილი საფრანგეთის კოლონია სუდანი — განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო. ფრანგი კოლონიზატორებისაგან ამ ქვეყანამ მემკვიდრეობად მიიღო უაღრესად ჩამორჩენილი ეკონომიკა. მრეწველობა, როგორც ასეთი, პრაქტიკულად სრულებით არ იყო. სოფლის მეურნეობა დაქვეითებას განიცდიდა. მოსახლეობა ნახევრად მშიერი იყო. სუდანელთა დიდმა უმრავლესობამ არ იცოდა, რა არის სამედიცინო მომსახურება. ერთი საავადმყოფოს საწოლი მოდიოდა სუდანში 1700 კაცზე (საფრანგეთში მოდის 72 კაცზე), სახალხო განათლება სრულიად მივიწყებული იყო. სკოლის ასაკის ყოველი ასი ბავშვიდან მხოლოდ შვიდს შეეძლო სწავლა. მალის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღნიშნავდა, რომ „კოლონიალიზმს მალისათვის არ დაუტოვებია არაფერი სილატაკის, შიმშილის, უმეცრებისა და სნეულების გარდა“.

უდიდესი სიძნელეები დაიხახა ახალგაზრდა რესპუბლიკის წინაშე მისი დამოუკიდებელი არსებობის პირველ დღეებიდანვე. მაგრამ მმართველმა პარტიამ სუდანის კავშირმა აფრიკის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, მალის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურის მოდიბო კეიტას ხელმძღვანელობით ეროვნული აღორძინების გადაუდებელი ამოცანების გადაჭრის სწორი გზა გამონახა. ეს გზაა უმჭიდროესი კავშირი მასებთან, ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპების მტკიცედ შესრულება, მეგობარ ქვეყნებთა მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, მომჭირნეობის რეჟიმი.

მალის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა. გლეხებს მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, არაქისი და ბამბა. ფუღბეს ტომის ტრადიციული მეცხოველეები მწყემსავენ დიდრქიანი ხარების ჯოგებს, ცხვრის ფარებს, ცხენის რეშებს. განვითარებულია იეთევზეობა მდინარე ნიგერზე. მადნეულს ჭერჭერობით სუსტად იყენებენ. უმნიშვნელო რაოდენობით იღებენ მხოლოდ მარილსა და რკინის მადანს.

დიდი ენთუზიაზმით შრომობს მალის ხალხი ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების შექმნისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის კოოპერირების საფუძველზე, ადგილობრივი ნედლეულის გადასამუშავებელ საწარმოთა შენებლობისათვის. ამ მიზნების უსწრაფესად განხორციელებისათვის რესპუბლიკის მთავრობამ 1961 წლის ოქტომბერში მოახდინა საგარეო ვაჭრობისა და მთელ დასავლეთ აფრიკაში უდიდესი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ნიგერის ველის სამმართველოს“ ნაციონალიზაცია. გასული წლის 1 ოქტომბერს დაიწყო 1961-1965 წლების ეკონომიური რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მალისათვის მეგობარი სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის უანგარო მხარდაჭერას. გასული წლის მარტში მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მალის შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე სავაჭრო და კულტურულ შეთანხმებებს. საბჭოთა მთავრობამ შეღავათიან პირობებში მისცა მალის გრძელვადიანი სესხი 40 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ სესხის ანგარიშში საბჭოთა ორგანიზაციები ტექნიკურ დახმარებას უწევენ აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკას გეოლოგიურ-საძებნელვერვო სამუშაოების განხორციელებაში, რკინიგზის, ცემენტის ქარხნისა და სტადიონის მშენებლობაში ნიგერზე ნაოსნობის გაუმჯობესების საქმეში და სხვ. განსვლილი წლინახევრის მანძილზე ორ ქვეყანას შორის მოხდა ეკონომიური, ქალთა, ახალგაზრდობის, მეცნიერთა, სახპორტო და სხვა დელეგაციების გაცვლა. 1961 წლის იანვარში მალიში ვიზიტად იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფო თანამიმდევრულ პრინციპულ ბრძოლას ეწევა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. მალის ლიდერები დიდ უურადღებას უთმობენ აფრიკის ერთობის გზების გამონახვას — პრობლემას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფრიკისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს აფრიკის სამი სახელმწიფოს — მალის, განისა და გვინეის კავშირმა, რომელიც 1960 წლის დამლევს შეიქმნა.

მალის მთავრობა, რომელიც ახორციელებს ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, ენერგიულად განაგრძობს ურთიერთობას სოციალისტურ ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა ცნობას სსრ კავშირში მალის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის მოდიბო კეიტას ვიზიტის შესახებ. იგი 21-დან 31 მაისამდე იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — ეუბნებიან სპასტიო სტუმარს საბჭოთა ადამიანები.

გაგარინი ტოკიოში

„შენ გაკაფე კოსმოსის გზა“

ტოკიო, 21 მაისი. (საკდესი). დღეს აქ „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი იური ალექსის ძე გაგარინი. საბჭოთა კოსმონავტს მიესალმა ქალაქის 150 ათასზე მეტი მცხოვრები.

ტოკიო, 21 მაისი. (საკდესი). დღეს იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების ვიზიტად მეგობრობისა და მშვიდობის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი იური ალექსის ძე გაგარინი მეუღლითურთ.

სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა ამ დღეს ტოკიოს ხანდაზა აეროპორტი. მორთულ-მოკაზმული იყო აეროპორტის ვალეტი, რომელიც დამზდურებით გაივსო. ქარი აფრიალებდა პროფკავშირული და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების დროშებს, ყველგან ჩანდა ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „მივესალმებით მსოფლიოს პირველ კოსმონავტს იური გაგარინს, კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, მაიორო გაგარინ“.

ეს-ეს არის დამჯდარი თვითმფრინავიდან გამოსულ საბჭოთა კოსმონავტს გულთბილად მიესალმნენ იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე სიტარო მაცუმოტო, იაპონიის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი — იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე სანძო ნოსაკა, იაპონიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრები საკამადა, ივამა, იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ოტა და ბევრი სხვა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

იური გაგარინს რომ მიესალმა, სიტყვრო მაცუმოტომ უსურვა კოსმონავტ მფრინავსა და მის მეუღლეს ბედნიერი ჩამოსვლა იაპონიაში.

საბჭოთა კოსმონავტმა მადლობა გადაიხადა მოწვევისა და გულთბილი სიტყვებისათვის და დამხვდურთა მეგობრულ ძეძახილებში განაცხადა: „მე დავიხანე იაპონია კოსმოსური ხომალდიდან „აღმოსავლეთი“, მაგრამ ჩემთვის უფრო სასიამოვნო და სასიხარულოა გავიცნო შრომისმოყვარე იაპონელი ხალხი, მისი მიღწევები უშუალოდ თქვენს მიწაზე“.

აეროდრომზე გაიმართა პრესკონფერენცია. იაპონიისა და უცხოეთის გაზეთების მოუთმენელმა რეპორტიორებმა, კორესპონდენტებმა უამრავი შეკითხვა მისცეს საბჭოთა კოსმონავტს.

შემდეგ იური გაგარინი და მისი ცოლი ჩასხდნენ ღია მანქანაში და წავიდნენ ქალაქში, სასტუმრო „ტეიკიუში“. ქალაქის 150 ათასზე მეტი მცხოვრები მიესალმებოდა ტოკიოსაკენ მიმავალ იური გაგარინს.

იური გაგარინის ჩამოსვლა და მისი პრეს-კონფერენცია აეროდრომზე გადასცეს უდიდესმა რადიოსადგურებმა და ტელევიზიამ.

ტოკიოში სამი დღის ყოფნის შემდეგ საბჭოთა კოსმონავტი წავა იაპონიაში სამოგზაურად და ეწვევა ქალაქებს ოსაკას, კიოტოს, ნაგოიას, საპოროს.

ტოკიო, 21 მაისი. (საკდესი). დღეს აქ იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების მოწვეეით მეგობრობისა და მშვიდობის ვიზიტად ჩამოსული საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი ი. ა. გაგარინი და მისი მეუღლე ნაუშადღევს მიიღეს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იკედამ, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრმა კოსაკამ, სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს უფროსმა მიკიმ.

იაპონიის მთავრობის ხელმძღვანელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა კოსმონავტის ნაამბობისადმი სამყაროს სივრცეებში პირველი ფრენის შესახებ და უსურვეს ბედნიერი ყოფნა იაპონიაში.

გაწირულთა შეთქმულება

პრესის სააგენტო „ახალი ამგბების“ ყოველკვირეული საერთაშორისო მიმოხილვა

დაახლოებით ერთი წლის წინათ მშვიდობის ძალებმა მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტას ლაოსში. შემუშავებულ იქნა ლაოსის ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის დირექტივები. ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა, ნუანა ფუმის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარეს მიღწეული შეთანხმების განხორციელებისათვის, მაგრამ ბუნ უმისა და ფუმი ნოსავანის ბანდის სასტიკ საბოტაჟს წააწყდნენ. ამერიკის სამხედრო ხროვის აგენტებს მშვენივრად ესმით, რომ ერთიანდა მშვიდობიან ლაოსში მათ არა აქვთ მომავალი. განწირული მარიონეტები ჩაეხნენ შეთქმულებაში ლაოსის მშვიდობის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ კვლავ გააჩაღებენ სამოქალაქო ომის ცეცხლს.

ამას აღიარებს დასავლეთის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

კურიოზული დეტალი: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ბოლმა გამოაცხადა, რომ ლაოსის ამბების განვითარება საბჭოთა კავშირის „კეთილი ნების შემოწმება“... იქნება. მაგრამ თუ ლაოსში ამოწმებენ ვინმეს კეთილ ნებას, ეს უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების კეთილი ნება. და ჯერჯერობით ასეთი შემოწმება მეტად უარყოფით შედეგებს იძლევა.

ამას აშკარად აღნიშნავენ შეერთებული შტატების მეგობრებისა და მოკავშირეების ბანაკშიც კი. მაგალითად, ინგლისური გაზეთი „გარდიანი“ წერს, რომ ერთი წლის წინათ ლაოსი მიაჩნდათ სასინჯ ქვად, რომლითაც უნდა შემოწმდეს საბჭოთა მხარის გულწრფელობა. მაგრამ როგორც ეს გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი აღნიშნავს, „საერთოდ, სწორედ პროდასავლეთის მხარემ ვერ გაუძღო გამოცდას“.

...მაგრამ დავბრუნდეთ ევროპაში, სადაც ამ დღეებში ნიადაგი ირყევა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მოკავშირის — ფაშისტი დიქტატორის ფრანკოს ფეხქვეშ. ესპანეთის ამბები ახლა ცოტა საზრუნავს როდი უჩენენ ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ მმართველ წრეებს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **ნიუ-იორკი.** „ჩვენ განზრახული გვაქვს გავთავისუფლოთ დასავლეთ ირიანი მიმდინარე წელს“, — განაცხადა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელმაც გუშინ ნეგარას სასახლეში სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა წინაშე, რომლებმაც სასწავლებელი დაამთავრეს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სუკარნომ დასძინა, რომ „თუ ჰოლანდიელებს არ სურთ გადაჭრან ეს საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით, მაშინ ჩვენ გვაქვს სხვა საშუალებებიც“.

□ **ნიუ-იორკი.** როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკელმა მფრინავმა კლოდ იზერლიმ, რომელიც მონაწილეობდა ხიროსიმის ატომურ დაბომბვაში, გუშინ განაცხადა, რომ პაციფისტი გახდა, რადგანაც სინდისის ქენჯნა განიცდის.

სტატიაში, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ „პერეიდში“ გამოქვეყნდა, მოყვანილია მისი განცხადება:

„მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და არაოდეს არ მოვისურვებ ზიანი მივაყენო მას... მაგრამ მე სინდისი მაქვს და არ შემიძლია გაჩუმება.

ადამიანები მეუბნებიან: მაგრამ შენი ბრალი ხომ არ არის, რომ მათ დაბომბეს ხიროსიმა, შენ ხომ ბრძანება მიიღე?! მაგრამ ეს აიჰმანის მსჯელობას ჰგავს, ისიც ამბობდა, რომ მხოლოდ პატარა „ხრახნი“ იყო, რომელიც ბრძანებებს ასრულებდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად პატარაა „ხრახნი“, ადამიანმა პასუხი უნდა აგოს თავის ჩანადენ საქმეზე“.

დაიწყო დასავლეთ ირიანის განთავისუფლება

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). ინდონეზიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვირიოპრანოტომ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ დაიწყო დასავლეთ ირიანის განთავისუფლება.

მან განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ინდონეზიელ პარაშუტისტთა დესანტმა, რომელიც ამ დღეებში გადასხეს დასავლეთ ირიანის ყველაზე დასავლეთ ნაწილში, დასაბამი მისცა განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც გაგრძელდება, სანამ ჰოლანდიელები არ დათანხმდებიან ორ პირობაზე. პირველი პირობა ის არის, რომ ჰოლანდიელებმა შეწყვიტონ სამხედრო მამული ძალების გადაყვანა ამ ტერიტორიაზე, მეორე კი ის, რომ ჰოლანდიამ უნდა „ცხადყოს კეთილი ნება და გულწრფელი სურვილი განაახლოს მშვიდობიანი მოლაპარაკება“.

თურქეთის მუშები სულ უფრო აქტიურად ებმებიან თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში.

სურათზე: დემონსტრაცია სტამბოლის მუშებისა, რომლებიც გაფიცვის უფლებას მოითხოვენ.

ფოტო ნ. კუდრიაშოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

კოლონიზატორთა ლექსიკონი

დემოკრატია — თეთრკანიანი უმცირესობის ბატონობა შავკანიან უმრავლესობაზე.

საარჩევნო უფლება — ზემოხსენებული დემოკრატიული სისტემის უკვდავყოფის საშუალება.

ხმის უფლება — საშინელი იარაღი. უწყინარია მხოლოდ იმ ადამიანთა ხელში, რომელთა გვარტომობა ორი ათას წელს ითვლის.

რასისტი — ყოველი აფრიკელი, რომელსაც მიაჩნია, რომ აფრიკაში აფრიკელები უნდა ასრულებდნენ ხელმძღვანელი როლს.

პატრიოტი — ევროპელი, რომელსაც მიაჩნია, რომ აფრიკაში ხელმძღვანელი როლი ევროპელებს ეკუთვნოდეს.

აფრიკელი, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, — ყოველი აფრიკელი, რომელიც გულმოდგინედ იცავს ევროპელთა პოზიციას.

უპასუხისმგებლო აფრიკელი — ყოველი აფრიკელი, რომელიც თავისი ხალხის ინტერესებს იცავს.

უცხოეთის გაზეთებიდან.

საბჭოთა კავშირის დახმარებით

ელექტროსადგური მდინარე კუნდუზზე

ავღანეთში მთის მდინარე კუნდუზზე (ამუ-დარიის შენაკადი) უკვე რამდენიმე დღეა მუშაობს პული-ჰუმრის ახალი ელექტროსადგური, რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის პროექტითა და დახმარებით.

საკდესის კორესპონდენტს პული-ჰუმრის შესახებ ესაუბრა ელექტროსადგურების მშენებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ პ. ს. ნეპოროჟნიმ. იგი სადგურს ეწვია, როცა ამ ობიექტის მშენებლობა მთავრდებოდა.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით, თქვა პ. ს. ნეპოროჟნიმ, ეს შედარებით პატარა ჰიდროსადგურია — სამი აგრეგატი, რომელთა სიმძლავრე 9 ათასი კილოვატია, მაგრამ ავღანეთის ეკონომიკისათვის მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ პული-ჰუმრისთან ერთდროულად ამუშავდა ახლო მდებარე ცემენტის ქარხანა, რომელიც აიგო ჩეხოსლოვაკიის ტექნიკური ხელშეწყობით. ამ საწარმოს პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ენერგიას აძლევს პული-ჰუმრი, განკუთვნილია 60 ათასი კილოვატი სიმძლავრის ნაღლუს ჰიდროელექტროსადგურისათვის, რომელიც შენდება მდინარე ქაბულზე (ავღანეთის დედაქალაქის ახლოს). ეს ელექტროსადგური, რომელიც აგრეთვე საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, უდიდესი იქნება ავღანეთში.

სავსებით ავტომატიზებული პული-ჰუმრის ჰესი აშენდა სულ სამ წელიწადში — ერთობ მცირე ვადაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბრონ იყო შეგვექმნა სამშენებლო ბაზა, სსრ კავშირიდან ჩამოგვეტანა მოელი საჭირო ტექნიკა — მძლავრი ავტოთვითმცლელები, ექსკავატორები, ბულდოზერები, მოგვემზადებინა კვალიფიციური მშენებლები და მემონტაჟეები ავღანელთაგან.

მშენებლობის ტემპით პული-ჰუმრი სჯობს იმავე მდინარე კუნდუზზე აგებულ მეორე სადგურს, რომელიც აშენდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით. ამ ელექტროსადგურს, რომელსაც ერთიორად ნაკლები სიმძლავრე აქვს, ასეთსავე პირობებში აშენებდნენ ათ წელიწადს.

პული-ჰუმრის რაიონში სამი წლის მანძილზე ავღანელმა მუშებმა საბჭოთა სპეციალისტებთან თანამეგობრობით ააშენეს არა მარტო ჰიდროსადგური, არამედ დამხმარე საწარმოებიც, საცხოვრებელი დაბა, რომელსაც აქვს კლუბი და სხვა კულტურული და სასპორტო ობიექტები.

ავღანელები დიდად აფასებენ სამუშაოთა ხარისხს, აქებენ მშენებლობის არქიტექტურასაც.

საბჭოთა სპეციალისტებმა ინჟინერ ა. ჯ. არტიმის მეთაურობით დიდი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეს მშენებლობის ორგანიზაციასა და ადგილობრივ მუშათა სწავლებაში.

პ. ს. ნეპოროჟნიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მშენებლობის წარმატებით დამთავრებას ბევრად შეუწყო ხელი მეგობრულმა ურთიერთობამ, რომელიც დასაწყისშივე დამყარდა საბჭოთა სპეციალისტებსა და ავღანელ მუშებს, აგრეთვე ავღანეთის ადმინისტრაციას შორის. საგადურის დათვალიერებისას, თქვა მან, მეტად სასიამოვნო იყო დამენახა ორი მეგობარი ხალხის წარმომადგენელთა ერთობლივი შრომის შედეგები.

ავღანეთში, განაცხადა პ. ს. ნეპოროჟნიმ, დიდად შეიფასეს საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარება. ჰიდროსადგურის ამუშავების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა. მან და მინისტრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სადგურის ყველა ნაგებობა. პრემიერ-მინისტრმა პირადად ამუშავა ჰიდროტურბინი, თავის სიტყვაში მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს დახმარებისათვის და ჩვენს ქვეყანას ავღანეთის მეგობარი უწოდა. სადგურის ამუშავება, რომლის ცერემონიას დაესწრო დიდძალი მოსახლეობა, დიდ დღესასწაულად გადაიქცა.

ლიტერატურული ხანა

ვისაუბროთ ახალ წიგნებზე

ჟაგუკეები დარჩნენ მარად

ოციოდე წლის წინათ გაზაფხულზე ლადო ასათიანმა თავისი სოფელი ბარდნალა და იქ განცდილი ასეთი სურათი ინატრა: „თენდება. ყველაზე უწინ ჩიტების ჭიკჭიკი და ყლორტული ჩამესმის ყურში. მზე ახლად ამოდის. გუმარეშის ბალებში ჩრდილები წაგრძელებულა. გავრბივარ მდელოზე. ფეხქვეშ ცვრიანი ბალახია. ირგვლივ ახლად გაღვიძებული ყვავილებია. მთელ იმ არემარეში გაჟღეფებული რაღაც საოცარი სიმშვიდე და სილამაზე. ერთი ასეთი სოფლური დილა ღირს მთელ სიცოცხლედ. ეს არის მიწის სინედლე და სურნელება“...

კითხულობთ ამ სტრიქონებს და თქვენს წინ მთელი ძალით ცოცხლდება სოფელში გატარებული დღეების რომანტიკა. მისი გაზაფხულის სიმწვანე და იქ დარხეული გლეხური სიმღერების ვაჟკაცური ხმა. ამ სიმღერებში ისმის საოცრად წრფელი და მომხიბვლელი მელოდიები. ისინი გვახარებენ თავიანთი უშუალობითა და ხალასი პოეტური ბუნებით. მაღალი პატრიოტული გზნებით გამსჭვალულია მისი ყოველი სტრიქონი. აქ თითქოს სიცოცხლის განცდაც რაღაც უფრო საგრძნობი და ხელშესახებია...



როცა ცაგერის ბარდნალა, ნამკაშურების წისქვილი და გუმარეშის ყანები ვნახე, ასე მეგონა, რომ მთელი ეს სამყარო ჯერ ასათიანის ლექსებში გაჩნდა და მერე გადავიდა სინამდვილეში. ისინი ძლიერი პოეტური ხილვის საგანი გახდნენ და ახალი მხატვრული ცხოვრებაც დაიმკვიდრეს ასათიანის პოეზიაში. მართლა მის ლექსებში როდი შეიჭრა მშობლიური გარემო და ბავშვობის შთაბეჭდილება.

ამ პირველად ხილულ სამყაროს უძღვნეს თავიანთი წრფელი ლირიკული სტრიქონები მ. გელოვანმა, ა. საჯაიამ, ს. ისიანმა, გ. ნაფეტვარიძემ... ეს ჟაბუკი პოეტები ერთი თაობის მომღერლები იყვნენ და ბედმაც ერთნაირად ნაადრევად უმუხთლათ.

მოელი მათი ურთიერთობა და ის ლიტერატურული სამყარო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, შესანიშნავად აისახა ნ. აგიაშვილის წიგნში „ჟაბუკები დარჩნენ მარად“. ეს არის პოეტურად განცდილი, ღრმა სიყვარულითა და შთაგონებით დაწერილი წიგნი. იგი გვხიბლავს უწინარეს ყოვლისა იმ ჯანსაღი, ნათელი ტენდენციით, რომელიც ასე პოეტურად, ასე რომანტიკულად ხატავს ერთი თაობის ლიტერატურულ სამყაროს, მის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, იდეალებს, ჟაბუკურ გატაცებას, გულწრფელად განცდილ მეგობრობას, სიყვარულს, ტკივილს და საერთოდ ყოველივე იმას, რაც შეადგენს ჩვენს რწმენას, სიკეთეს, იმედს...

წიგნის თვით სათაურებშიც კი ნაგრძნობია ნ. აგიაშვილის ფაქიზი ლირიკული დამოკიდებულება თემასთან. წიგნში რამდენიმე ნაწილია. მათ ღრმა შინაგანი ლოგიკური კავშირი აქვთ. „ქუთაისის დღე და ღამე“—ასე იწყება პირველი თავი და უკვე აქ ეყრება საფუძველი „მოქმედ გმირთა“ ურთიერთობას, ისახება ლიტერატურული ცხოვრების კონტურები...

კითხულობთ ქუთაისელი მეგობრების პირად წერილებს, ერთად განცდილი დღეების მოგონებებს და ხანთბთ, რომ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, არც ლ. ასათიანი და მ. გელოვანი, ა. საჯაია და ს. ისიანი, გ. ნაფეტვარიძე, ვ. დარასელი, გ. იმედაძე... და სხვანი. მათი სახეები ნ. აგიაშვილის წიგნის ფურცლებზე სხვადასხვაგვარად ჩნდებიან; ზოგი რელიეფურად, ზოგი კიდევ როგორც სილუეტი. ხან ერთად გამოჩნდებიან, როგორც ცხოვრებაში ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე, მერე ისევ გაშორდებიან „მართალი კაცის ფიქრებით“ და რაღაც მძიმე სევდა შემოაწვებათ გულზე, ისევ ხვდებიან ერთმანეთს, ისევ მორდებიან. წლებიც მიდის, და იხურება წიგნის უკანასკნელი ფურცლებიც, რომელსაც „შემოღამება მთაწმინდაზე და დღე უკანასკნელი“ ჰქვია...

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში იგრძნობა ნაღვლიანი კილო (სავსებით ბუნებრივადაც!), იგი მთლიანობაში წარმოგვიდგება, როგორც სიცოცხლის ღრმა სიყვარულით გამთბარი თაობის სულში ჩამდგარი გაზაფხულის მანიშნებელი. აქ ისიც კარგად ჩანს, თუ რა იდეებზე იზრდებოდნენ, რა ლიტერატურა იტაცებდა მათ. განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველა ჰყვარებია ლადოს, ფიროსმანი მხატვრებიდან. ეს სიყვარული გამოიხატა კიდეც მის პოეზიაში.

ისინი, ვინც თავიანთი ცხოვრების ადრე გაზაფხულზე წავიდნენ, ქართულ ლიტერატურაში მართლაც „ჟაბუკები დარჩნენ მარად“. მათი ლექსებიდან ჩვენ ახლაც გვესმის „ადრე წასული კაცის ფიქრები“, გვესმის მათი გულისძგერა და შეუწყვეტელი სიმღერის ხმა — ვაჟკაცური და ოპტიმისტური.

ვაჟა-ფშაველამ ერთხელ თქვა: „როცა ადამიანი კვდება, მისი წილი ფიქრიცა კვდება. რამდენი ფიქრი განისვენებს დედამიწის გულმკერდში უხმოდ, უსიტყვოდ!..“ და მართლაც რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი და საფიქრელი ჩვენგან ადრე წასულ იმ პოეტებს, რომლებიც ახე გულთბილად მოიგონა თავის წიგნში ნ. აგიაშვილმა...

ვ. კიკნაძე.

მოსკოვი ეცნობა

ირ. გამრეკელის მხატვროგას

სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოსკოვში, აქტიორის ცენტრალურ სახლში, მოაწყეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, გამოჩენილი მხატვრის ირაკლი გამრეკელის ნაწარმოებთა გამოფენა.

აქტიორთა ცენტრალური სახლის ფოიეში წარმოდგენილია გამრეკელის თეატრალური დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები, მაკეტები, მხატვრის ძველიან ფუნჯს რომ შეუქმნია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

გამოფენის გახსნაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, თავი მოიყარეს მოსკოვის თეატრალური საზოგადოების, დედაქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ხელოვნების მოყვარულებმა. სიტყვებით გამოვიდნენ და ქართველი მხატვრის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ნ. საპეტოვმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის სახელით გამოსულმა მხატვარმა ი. პიმენოვმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ცნობილმა საბჭოთა რეჟისორმა გ. ტოვსტონოგოვმა, მხატვარმა ბ. კნობლოკმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, კრიტიკოსმა ბ. ეფენტმა.

მხატვარ ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში აღსანიშნავია დიდ ქართველ რეჟისორთან კ. მარჯანიშვილთან თანამშრომლობით შექმნილი სპექტაკლების გაფორმება. გამოფენაზე წარმოდგენილია კ. მარჯანიშვილის სპექტაკლის „ლოდას“ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები. მხატვართა დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ს. ახმეტელის სპექტაკლის „ლამარას“ გამრეკელისეული გაფორმება.

გამრეკელის მეერ დიდი ოსტატობით არის გაფორმებული შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, „თეთრულოდ“, ს. შანშიაშვილის „გიორგი საკაძე“, „ანზორი“, „არსენა“, ვ. დარასელის „კიკვიძე“ და სხვა სპექტაკლები.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი დეკორაციების ესკიზებსა და მაკეტებს, რომლებიც მხატვარს შეუქმნია დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლებისათვის.

მოსკოვის თეატრალურმა ტელესტუდიამ გადაიღო გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები და უახლოეს დღეებში მილიონობით მოსკოველი ტელევიზიის საშუალებით გაიცნობს ქართველი მხატვრის ნამუშევრებს.

ვლ. ალფენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 28-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მე-7 კლასელი მ. ბექაური (მარცხნივ) ყელსახვევს უკეთებს პიონერთა ორგანიზაციაში ახლახან მიღებულ მესამეკლასელ მოსწავლეებს ზ. ჩიქოვანს, ვ. ავალიანს და ნ. ხაკეევიჩს. ცენტრში — უფროსი პიონერხელმძღვანელი ზ. მედულაშვილი.

მრავლდება ხოხობი ივრისპირეთში

საგარეჯო. (საკ. კორ.). აშენებული მუხეებითა და ვერხვებით შემკული ყორუღის ტყეში ამ რამდენიმე წლის წინათ მოეწყო ხოხბების მოსამრავლებელი მეურნეობა.

შარშან მეურნეობამ გაზარდა სამას ორმოცდაათი ფრთა ხოხობი. მეურნეობის სპეციალისტებმა ყორუღის ტყეში ვოლიერებიდან გაათავისუფლეს სამოცდაათი ზრდადასრულებული ფრთოსანი, ამდენივე ხოხობი ბინადრობს გაგრის ტყეში.

მეურნეობაში მარტო ხოხობს როდი აშენებენ. აქ მალე გარეულ ღორსაც მოამრავლებენ.

ამგზეგი,

ცნობები. ფაქტები

ასე იქცევიან პიონერები

სოხუმი, 18 მაისი. (საქდესი). ამ ღრუბლიან დღეს ადრე ჩამოწვა ბინდი საკურორტო ქალაქ გაგრაში. გაგრის მეორე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა, პიონერებმა ვალოდია ლომტევმა და ბატიანა პროსკურიაკოვამ, რომლებიც შინ ბრუნდებოდნენ, შენიშნეს ალი სანატორიუმ — პანსიონატის „საქართველოს“ სახურავზე. ბავშვებმა განგაში ატეხეს. პირველ მაშველთა შორის პიონერებმაც დაიწყეს ბრძოლა ცეცხლის წინააღმდეგ. მალე სახანძრო რაზმიც მოვიდა, ხანძარი ჩაქრეს. კურორტის ყველაზე ლამაზი შენობა — კოშფორტული ჯანმრთელობის კერა, რომლის პალატებში ყოველთვიურად ჩვენი ქვეყნის 400-ზდე მეშახტე, მენავთობე, მინდვრის მშრომელი, მეყამრე, მეტალურგი, რკინიგზელი ატარებს შვებულებას, გადარჩა.

სკოლის რაზმეულის შეკრებაზე, როცა ვალოდიასა და ტატიანას სთხოვეს ეამბნათ თავიანთი გმირობის შესახებ, მათ უპასუხეს, რომ არაფერი განსაკუთრებული აქ არ არის. ასე მოიქცეოდა ყოველი ჩვენგანიო.

კომკავშირის გაგრის რაიკომმა ქების სიგელით დააჯილდოვა მამაცი პიონერები.

ბორჯომის

რაიონის სოფელ ჯობისხევში მცხოვრები ა. კაპანაძე სახლის ბალავერის გაჭრის დროს მიწაში წააწყდა მარანს, რომელშიც 10, 15, 25, 30, 35, 40 და 50 ფუთიანი 7 ქვევრი აღმოჩნდა. მარნის შუა ნაწილში ქვითა და კირით ამოშენებულია პურის შესანახი ძველებური ორმო. აღმოჩნდა აგრეთვე საწნახელი.

ეს შეტად საინტერესო ნაპოვნია, რომელიც შესწავლის ღირსია.

ნ. ტეფნაძე,
მასწავლებელი.

ლაგოდეხი.

(საკ. კორ.). სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის წევრებმა ერთ-ერთი არხის გათხრისას სამარხი აღმოაჩინეს. იგი მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეზე იყო.

სამარხში, ადამიანის ჩონჩხთან ერთად, აღმოჩნდა დოქი, რომელიც დამშვენებულია თეთრი საღებავით, სამი ცალი ფიალა, ქოთანი, თიხის ჭიქები და სხვა ნივთები.

უალკოჰოლო სასმელები „დაფნა“ და „ტყემალი“

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის სამრეწველო კომბინატის ლიმონათის ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ო. უგრეხელიძემ ბევრი შრომა და ცდა მოახმარა იმას, რომ დაფნისაგან საუკეთესო გემოსა და არომატის მქონე უალკოჰოლო სასმელი მიეღო.

ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა აგრეთვე უალკოჰოლო სასმელი „ტყემალი“. ორივე ეს სასმელი მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ᲔᲚᲔᲠᲘ — ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲙᲘᲝᲠᲐᲡᲐᲛᲘ საჭადრაკო პაექრობაში ოთხი საბჭოთა გროსმაისტერის პოზიცია მყარია.

მათ შორის წარმატებით იბრძვის გელერი. მეორე წრის ოთხი ტურიდან მას ყველაზე უკეთესი შედეგი (3 ქულა) აქვს. მე-11 ტურში გელერმა ძლიერად ჩაატარა პარტიის დასკვნითი ნაწილი ფილიპთან და გაიმარჯვა.

ბენკო-კორჩნოისა და კერეს-პეტროსიანის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ტალ-ფიშერის პარტია გადაიდო. პირველს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ მისი პოზიცია ოდნავ უარესია.

მეთორმეტე ტური ყველაზე მოულოდნელი, ხენსაციური აღმოჩნდა. მაგალითად, გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა კორჩნოიმ, რომელსაც დებიუტიდან გარკვეული უპირატესობა ჰქონდა და მისი პოზიცია არავითარ ეჭვს არ იწვევდა ფიშერთან პარტიაში, მოულოდნელად უხში შეცდომა დაუშვა, დაკარგა ფიგურა და 44 სვლაზე ფარხმალი დაუყარა.

ასევე მოულოდნელი იყო ტალის დამარცხება ფილიპთან, რადგან მას პერსპექტიული პარტია ჰქონდა და მხოლოდ ცაიტნოტში განიცადა დამარცხება. არც პეტროსიანს წყალობდა ამ დღეს ბედი. მანაც კარგი პოზიცია ბენკოსთან შეხვედრაში ყაიმამდე დაიყვანა. გელერ-კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ერთპიროვნული ლიდერი გახდა გელერი, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. კორჩნოის, კერესსა და პეტროსიანს შვიდ-შვიდი ქულა აქვთ, ფიშერს— 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბენკოს — 5,5 ქულა, ფილიპს — 4 ქულა, ტალს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲐᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

დასავლეთის დღე ქალთა საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებმა რიწაში გაატარეს და კმაყოფილი დაბრუნდნენ სოხუმში.

გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ასენოვამ გადადებულ პარტიაში ყაიმი შესთავაზა გაფრინდაშვილს, რომელიც მეტოქემ მიიღო. შამაიტტე ბრძოლის განუახლებლად დანებდა კუშნირს, ჩაიკოვსკაიამ მოუგო ფინტას.

საღამოს შედგა მეათე ტური. გაფრინდაშვილი თამაშობდა ხომფის წინააღმდეგ. გათამაშდა კარო-კანის დაცვა. ხომფიმ დაგვიანა როქის გაკეთება, რითაც ისარგებლა გაფრინდაშვილმა, ძლიერი იერიში განავითარა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე და 24-ე სვლაზე გაიმარჯვა.

კაკაბაძემ კომბინაციური თამაშით ლაზიერი მოიგო ვოიცეკთან და 22-ე სვლაზე პარტიაც. ტოგონიძე-ნიკოლაუს პარტია მე-17 სვლაზე ყაიმით დამთავრდა, ასეთივე შედეგით დამთავრდა ასენოვა-იოვანოვიჩის პარტია. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ გაფრინდაშვილს 8,5 ქულა აქვს, ნიკოლაუს — 7,5 ქულა, კუშნირს — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტოგონიძეს — 6,5 ქულა.

თ. ბიორგაძე.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ

რიგა. 20 მაისი. აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ რიგის „დაუგავა“ და ალმატის „კაირატი“. გაიმარჯვეს რიგელებმა ანგარიშით 2:0.

„ᲤᲚᲐᲜᲔᲜᲒᲝᲚᲘ“ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ბრაზილიის საკლუბო გუნდი „ფლამენგო“ შეხვდა არმიის ცენტრალურ სასპორტო კლუბის ფეხბურთელებს. გაიმარჯვა ცსკა-მ ანგარიშით 4:1.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

△ **ᲮᲣᲚᲝ.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს — აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა 13-ოთახიანი შენობა ბავშვთა ბაღისა და ბაგისათვის.

△ **ᲐᲒᲐᲨᲐ.** (საკ. კორ.). წლითიწლობით მშვენდება და მდიდრდება აბაშის რაიონის საკოლმეურნეო სოფლები. სუჯუნაში მუშაობას შეუდგა კეთილმოწყობილი სასოფლო კულტურის სახლი, სადაც ნაყოფიერად მუშაობენ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

ეწრელმა კოლმეურნეებმა საჩუქრად მიიღეს კლუბ-კინოტორის შენობა, იგი კოლმეურნეობის გამგეობამ საკოლმეურნეო სახსრებით ააშენა.

△ **ᲐᲮᲛᲔᲢᲐ.** (საკ. კორ.). ამას წინათ მატნის კოლმეურნეობის წევრები გიო ნარეკლიშვილი და ნიკო ბუწანკალური ტყეში სოკოს საკრეფად წავიდნენ. აქ წააწყდნენ მგლის ბუნაგს, რომელშიც მარტო ლეკვები იყვნენ. ნარეკლიშვილმა და ბუწანკალურმა ბუნაგში ნაპოვნი მგლის რვა ლეკვი ახმეტის მონადირეთა ამხანაგობას ჩაბარეს.

კოლმეურნეებმა ჯილდოდ 400 მანეთი მიიღეს.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ რაიონის სოფელ ჯობისხევში მცხოვრები ა. კაპანაძე სახლის ბალავერის გაჭრის დროს მიწაში წააწყდა მარანს, რომელშიც 10, 15, 25, 30, 35, 40 და 50 ფუთიანი 7 ქვევრი აღმოჩნდა. მარნის შუა ნაწილში ქვითა და კირით ამოშენებულია პურის შესანახი ძველებური ორმო. აღმოჩნდა აგრეთვე საწნახელი.

ეს შეტად საინტერესო ნაპოვნია, რომელიც შესწავლის ღირსია.

ნ. ტეფნაძე,
მასწავლებელი.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის წევრებმა ერთ-ერთი არხის გათხრისას სამარხი აღმოაჩინეს. იგი მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეზე იყო.

სამარხში, ადამიანის ჩონჩხთან ერთად, აღმოჩნდა დოქი, რომელიც დამშვენებულია თეთრი საღებავით, სამი ცალი ფიალა, ქოთანი, თიხის ჭიქები და სხვა ნივთები.

Ლ. ᲘᲐᲨᲘᲜᲘ ᲓᲐ Მ. ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲒᲘ

ჩილიანი მიმავალი საბჭოთა ფეხბურთელები მომავალ საღამოს მგზავრობის შემდეგ ქოსტა-რიკაში შეჩერდნენ. 20 მაისს აქ მათ გამართეს შეხვედრა სან-ხოსეს საკლუბო გუნდ „ანაკულასთან“, რომელიც გაძლიერებული იყო ზოგიერთი სხვა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებით.

ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებს 28 ათასზე მეტი სტუმარი ეწვია. საბჭოთა ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ბრძოლამ თავიდანვე მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. ქოსტა-რიკელები მოქმედებდნენ ტემპიანად, აგრესიულად. ცოტა ჯაფა როდი დაადგა ჩვენს მეკარეს იაშინს, მცველებს. და მაინც ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მასლიონკინისა და ჩოხელის შეცდომა კინაღამ კარის ალებით დამთავრდა. არ გასულა რამდენიმე წუთი და განმეორდა მეორე აშკარა საგოლო მომენტი, მაგრამ იაშინმა ყველანი განაცვიფრა. ეს იყო სასწაულმოქმედი ნახტომი, კარის გადარჩენისათვის ნამდვილი გმირობა.

მეორე ტაიმში ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა კანევსკის, მაგრამ მან ვერ გამოიყენა. თამაშის წუთები მიიწურა. საბჭოთა ფეხბურთელები თითქოს აგებდნენ მატჩს, მაგრამ ჩვენი გუნდი იხსნა მარცხენა გარემარბმა მესხმა, რომლის მოულოდნელი დარტყმა გოლით დაგვრგვინდა.

1:1 — ასეთია მატჩის შედეგი კოსტა-რიკაში.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ: იაშინი, დუბინსკი, მასლიონკინი, ჩოხელი, ვორონინი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონდელნიკი (კანევსკი), მამაკინი (გუსაროვი), მესხი.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა ჩილეში გამგზავრების წინ უკანასკნელი მატჩი გამართა იტალიის უძლიერეს საკლუბო გუნდთან — „იუვენტუსთან“ და გაიმარჯვა 2:0.

მექსიკის ნაკრები რიო-დე-ჟანეიროში შეხვდა ადგილობრივ საკლუბო გუნდს — „ამერიკას“. მატჩის შედეგია ფრე 1:1.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲑᲠᲣᲜᲝ ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲛᲐ

დიდი წარმატება მოუტანა საბჭოთა გუნდს უნგრეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის მოფარიკაველთა საერთაშორისო შეხვედრის პირველმა დღემ ბუდაპეშტში, დაწნით ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენმა ბრუნო ხაბაროვმა დაიკავა პირველი ადგილი, მოიპოვა ექვსი გამარჯვება. მეორე იყო უნგრელი შმიტი (ხუთი გამარჯვება), მესამე ადგილზეა ჩვენი მოფარიკაველი ჩერნუშევიჩი (ხუთი გამარჯვება). ფინალში გავიდა გ. კოსტავა, რომელმაც ოთხი გამარჯვება მოიპოვა.

8:8 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა სსრ კავშირისა და უნგრეთის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. რაპირით ბრძოლაში. მაგრამ ჩხვლეტის თანაფარდობით — 19:11 — გამარჯვება მიენიჭათ საბჭოთა მოფარიკაველებს. პირველობა რაპირისტთა ასპარეზობაში აგრეთვე საბჭოთა გუნდმა მოიპოვა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

თბილისში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი.

გასულ კვირადღეს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. სსრ კავშირი „დინამოს“ ნაკრები შეხვდა რუმინეთის „დინამოს“. ჩვენმა კალათბურთელებმა შეჯიბრება წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 82 : 57.

მოწონებას იმსახურებს ჩინელ კალათბურთელთა თამაში. ამ დღეს „ციან-ვეის“ გუნდი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის „რუდე გვეზდას“ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 77 : 41.

ამრიგად, ტურნირში დაუმარცხებლად გამოდიან სსრ კავშირის „დინამოსა“ და ჩინეთის „ციან-ვეის“ გუნდები.

დანარჩენი მატჩების შედეგი ასეთია: ბულგარეთის „სპარტაკი“ — უნგრეთის „დოჟა“ 63 : 47, პოლონეთის „გვარდია“ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „დინამო“ 85 : 65.

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები. მოგვაყვს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები:

„სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „დინამო“ (გდრ) 52:45, „ციან-ვეი“ (ჩინეთი) — „დინამო“ (რუმინეთი) 75:50, „დინამო“ (სსრ კავშირი) — „გვარდია“ (პოლონეთი) 69:61, „დოჟა“ (უნგრეთი) — „რუდე გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) 56:48.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲜᲐᲓᲘᲠᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ მოქალაქეებს და თევზის მომპოვებელ ორგანიზაციებს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესების შესაბამისად, **აკრძალულია** 1. ყოველგვარი თევზისჭერა მდინარეების რიონის, ხობის წყლის, ენგურის, კოდორის, შავწყალას, ბზიფის და ფსოუს ზღვასთან შესართავის წინა სივრცეში შესართავიდან თითო კილომეტრ მანძილზე მარჯვნივ და მარცხნივ და 2 კილომეტრ მანძილზე ზღვის სიღრმეში 31 აგვისტომდე. 2. მთელი წლის განმავლობაში ა) ზუთხის თევზის ჭერა ჩანგლებით მდ. რიონში შენაკადებით და ყველა სხვა მდინარეში; ბ) თევზის ჭერა მდ. შავწყალაში გარდა თევზის მოშენების მიზნით წარმოებული ჭერისა; გ) შავი ზღვის ორაგულის ჭერა მდ. ენგურში და ყველა მდინარეში, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას აფხაზეთის ასსრ ფარგლებში, გარდა თევზის მოშენების მიზნით წარმოებული ჭერისა; დ) თევზის ჭერა მდ. მტკვარში თურქეთის საზღვრიდან სოფ. ხერთვისამდე; ე) თევზის ჭერა ჯებირებთან, კაშხალებთან, ხიდებთან და გემთმისადგომებთან არაუსწორეს 500 მეტრისა მათგან, აგრეთვე ხიდების ბურჯებსა და დამბებს შორის; ვ) მოხალისური თევზჭერა ფარავნის, საღამოს და ტბისყურის ტბებზე, აგრეთვე თბილისის და ხრამის წყალსაცავებში, სადაც ხორციელდება თევზის კვლევწარმოების და აკლიმატიზაციის ღონისძიებანი. 3. **თევზის ჭერა:** ა) მდ. მტკვარსა და ხრამში მათი შენაკადებით 15 აგვისტომდე; ბ) მდ. ალაზანში, იორში და ჯანდარის ტბაში 31 აგვისტომდე; გ) ხრამის და თბილისის წყალსაცავებში 15 მაისიდან 31 აგვისტომდე; დ) ფარავანის, საღამოს და ტბისყურის ტბებში 15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე; ე) პალიასტომის ტბაში დამის შენაკად მდინარეებში 31 ივლისამდე. 4. კალმახის ჭერა ყველა მდინარეში 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე. 5. კობრის ჭერა ფარავნის ტბაში 15 მაისიდან 31 აგვისტომდე. 6. თარფების თევზის ჭერა მდინარეებში 15 აგვისტომდე. 7. სასროლი ბადეებით თევზის ჭერა ყველგან 31 აგვისტომდე.

მოხალისური თევზჭერა პირადი მოხმარებისათვის, გაყიდვის უფლების აკრძალვით ნებადართულია ყველა მშრომელისათვის ბადური გიდლებით, რგოლებით დიამეტრით ორ მეტრამდე, და ხელით ამოსაწევი ბადით (ობობურით). რომლის გვერდის ზომა უნდა იყოს არაუმეტეს 2 მეტრისა და ყველგან და ყოველ დროს, გარდა აკრძალული დგიდელებისა და აკრძალული დროისა. თევზის ჭერა აღნიშნული იარაღებით, ადგილთა ფორების ზომა არ უნდა იყოს 20 მილიმეტრზე ნაკლები, ნებადართულია ნავების გამოუყენებლად და წყალში კოფოების ჩაუდგმელად. თევზის ჭერა ერთნენსაკვიანი ანკესით ნებადართულია მთელი წლის განმავლობაში ყველგან, გარდა ზემოთმოყვანილი მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტში ჩამოთვლილი ტბებისა და წყალსაცავებისა. ჭერა სპინნგებით ნებადართულია მთელი წლის განმავლობაში ყველგან გარდა ტბების, წყალსაცავების და აგრეთვე იმ მდინარეებისა, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას. ჯანდარის ტბაზე მოხალისური თევზჭერა ნებადართულია მხოლოდ ერთნენსაკვიანი ანკესებით, ამასთანავე დასაშვებია ჭერა კობრისა ზომით არანაკლებ 20 სმ., ხოლო ხრამულის და კარჩხანასი — 15 სანტიმეტრისა. თვითეული მოხალისის მიერ დაჭერილი თევზის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 კილოგრამს, არანაკლებ დაწესებული სარეწაო ზომისა.

თევზჭერის წესების რეალიზმე. ზემოთ მოყვანილი მუხლის დამრღვევნი მიეცემიან პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

24 მაისი

რუსთაველის სახელობის — ზღვის შვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ორთეოსი ჯოჯოხეთში ჩადის, **სანკულტურის** — უხვი სალამო,

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12.00 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — „მბატონული ფილმი „დამელოდე“, 18.00 — მოსწავლეთათვის — კინოეკურნალი „მიხდა ყველაფერი ვიცოდე“, 18.10 — რუსთაველი პიონერები, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — ახალი წიგნები, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — სატელევიზიო ჟურნალი „სპორტი“, 20.10 — ახალი ამბები, 20.25 — კინონარკვევი, 20.55 — საესტრადო კონცერტი, 21.05 — მხატვრული ფილმი „სამშობლოდან დამორებით“.

ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — კინოფილმების ნაკრები პროგრამა, **ამირანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო